ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2024 წლის III კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 21 549,6 ათ. ლარი, ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის იყო 4 336,8 ათ. ლარი საიდანაც ცხრა თვეში გაიწერა 4 148,1 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის III კვარტლის გეგმამ შეადგინა 25 697,7 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2024 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 21 549,6 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 15 454,2 ათ. ლარი (72%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 925,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 108,8 ათ. ლარი (120%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 6 098,8 ათ. ლარი - ფაქტი 5 838,2 ათ. ლარი (96%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 13 888,6 ათ. ლარი - ფაქტი 8 093,8 ათ. ლარი (58%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 586,7 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 388,2 ათ. ლარი (66%), აქედან: პროცენტის გეგმა 198,0 ათ. ლარი - ფაქტი 108,4 ათ. ლარი (55%); რენტა გეგმა 127,0 ათ. ლარი - ფაქტი 105,7 ათ. ლარი (83%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 17,0 ათ. ლარს ფაქტი 19,5 ათ. ლარი (115%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 11,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,7 ათ. ლარი (75%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 16,2 ათ. ლარი (46%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 198,1 ათ. ლარი, შემოვიდა 129,6 ათ. ლარი (65%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 25.1 ათ. ლარი (50%)

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 25 697,7 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 17 578,9 ათ. ლარი (68%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 3 199,1 ათ. ლარი - ფაქტი 2 884,3 ათ. ლარი (90%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 873,7 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 830,0 ათ. ლარი (95%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 2 235,1 ათ. ლარი - ფაქტი 2 048,6 ათ. ლარი (92%); სარეზერვო ფონდის გეგმა 74,8 ათ. ლარი; წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა 2,9 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.6 ათ. ლარი (98%); ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის გეგმამ შეადგინა 7,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 18 780,3 ათ. ლარი - ფაქტი 11 728,3 ათ. ლარი (62%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 4 542,0 ათ. ლარი - ფაქტი 3 085,6 ათ. ლარი (68%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 342,6 ათ. ლარი - ფაქტი 321,3 ათ. ლარი (94%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 18,3 ათ ლარი - ფაქტი 2,4 ათ. ლარი (13%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 898,4 ათ. ლარი - ფაქტი 52,7 ათ. ლარი (6%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 158,0 ათ. ლარი - ფაქტი 134,4 ათ. ლარი (85%);

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 62,0 ათ. ლარი - ფაქტი 54,9 ათ. ლარი (89%);

- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 164,4 ათ. ლარი - ფაქტი 164,4 ათ. ლარი (100%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 25,7 ათ. ლარი - ფაქტი 25,6 ათ. ლარი (100%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 348,8 ათ. ლარი - ფაქტი 333,6 ათ. ლარი (96%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 929,5 ათ. ლარი - ფაქტი 324,6 ათ. ლარი (35%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 3 602,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 275,6 ათ. ლარი (35%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 610,0 ათ. ლარი - ფაქტი 539,1 ათ. ლარი (88%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერის გეგმა 887,0 ათ. ლარი - ფაქტი 696,2 ათ. ლარი (78%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 4 805,3 ათ. ლარი - ფაქტი 3 658,7 ათ. ლარი (76%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 847,7 ათ. ლარი - ფაქტი 818,8 ათ.ლარი (97%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 340,0 ათ. ლარი - ფაქტი 215,2 ათ. ლარი (63%).

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 198,0 ათ. ლარი - ფაქტი 25,0 ათ. ლარი (13%);

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 660,3 ათ. ლარს, ფაქტი 628,3 ათ. ლარი (95%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 547,3 ათ. ლარი - ფაქტი 528,2 ათ. ლარი (97%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 105,0 ათ. ლარი, ფაქტი 92,6 ათ. ლარი (88%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 8,0 ათ. ლარი - ფაქტი 7,5 ათ. ლარი(94%);

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 603,0 ათ. ლარი - ფაქტი 544,2 ათ. ლარი (90%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 365,6 ათ. ლარი - ფაქტი 349,7 ათ. ლარი (96%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 1.8 ათ. ლარი (5%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 56,5 ათ. ლარი - ფაქტი 56,5 ათ. ლარი (100%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 134,2 ათ. ლარი - ფაქტი 132,1 ათ. ლარი (98%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებების გეგმა 6,7 ათ. ლარი - ფაქტი 4,2 ათ. ლარი (63%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 910,1 ათ. ლარი - ფაქტი 1 432,7 ათ. ლარი (75%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 203,0 ათ. ლარი - ფაქტი 184,3 ათ. ლარი (91%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 133,0 ათ. ლარი - ფაქტი 104,5 ათ. ლარი (79%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 50,0 ათ. ლარი (100%);

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 12,0 ათ. ლარი - ფაქტი 2,9 ათ. ლარი (24%);

- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში გეგმა 418,6 ათ. ლარი - ფაქტი 236,1 ათ. ლარი (56%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 83,0 ათ. ლარი - ფაქტი 62,7 ათ. ლარი (76%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 55,5 ათ. ლარი - ფაქტი 53,7 ათ. ლარი (97%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 301,0 ათ. ლარი - ფაქტი 269,2 ათ. ლარი (89%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 71,0 ათ. ლარი - ფაქტი 62,2 ათ. ლარი (88%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 90,0 ათ. ლარი - ფაქტი 71,6 ათ. ლარი (80%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 53,5 ათ. ლარი - ფაქტი 47,3 ათ. ლარი (88%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 167,7 ათ. ლარი, ფაქტი 97,0 ათ. ლარი (58%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 185,8 ათ. ლარი - ფაქტი 115,1 ათ. ლარი (62%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 71,0 ათ. ლარი - ფაქტი 68,1 ათ. ლარი (96%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 8,1 ათ. ლარი (54%)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 544,9 ათ. ლარი - ფაქტი 361,0 ათ. ლარი (66%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 135,0 ათ. ლარი - ფაქტი 67,6 ათ. ლარი (50%);

სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 409,9 ათ. ლარი - ფაქტი 293,4 ათ. ლარი (72%). აქედან:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 121,0 ათ. ლარი - ფაქტი 107,4 ათ. ლარი (89%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 23,7 ათ. ლარი - ფაქტი 13,9 ათ. ლარი (59%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 81,0 ათ. ლარი - ფაქტი 48,6 ათ. ლარი (60%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,5 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 95,0 ათ. ლარი - ფაქტი 46,0 ათ. ლარი (48%).

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 4,6 ათ. ლარი - ფაქტი 1,7 ათ. ლარი (37%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 4,0 ათ. ლარი - ფაქტი 1,3 ათ. ლარი (33%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 6,4 ათ. ლარი - ფაქტი 1,5 ათ. ლარი (23%).

- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების გეგმა 66,2 ათ. ლარი - ფაქტი 66,0 ათ. ლარი (100%)

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 7,5 ათ. ლარი - ფაქტი 7,0 ათ. ლარი (93%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურუთში მეწყრული პროცესების შედეგად დაზიანებული მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 18,7 ათ. ლარი; ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული სავარჯიშო მოედნის (ტრენაჟორები) რეაბილიტაციისათვის 16,7 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობის სამუშაოებისთვის 2,4 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭიბრევში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაციისთვის 10,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღებში "ჯვარიგორის" წყალსადენის სათავეში მიმავალი დაზიანებული გზის რეაბილიტაციისთვის 6,2 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვემო ბარში მცხოვრებ მანანა გიორგობიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან წყალგაყვანილობის მილის გადატანის სამუშაოებისათვის 5,9 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.10.2024წ.) ნაშთი შეადგენდა 2 212,1 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 792,1 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 1 419,9 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი